Revaz Mishveladze
Professor, Georgian Technical University

The Problem of Restoring Georgia's Territorial Integrity

(Abstract)

KEYWORDS: Georgia, Abkhazia, Samachablo, Creeping Occupation, Conflict, International Law, New World Order, Sovereignty

The primary problem facing modern Georgia is the restoration of violated territorial integrity. What is the exact meaning of restoring territorial integrity?

In the twelfth century, during the reign of King David IV and King Tamar, the territory of Georgia covered 307,000 sq. km. Due to historical misfortune, Georgia lost much of its territory. By the twentieth century, the country had been downsized to 111,000 sq. km. During the Soviet period, Georgia was left with only 69,000 sq. km. Fate was not merciful to us even thereafter, and in the last thirty years, as a result of two devastating wars with Russia, our northern occupying neighbour has taken away 25,000 sq. km. (Abkhazia and Samachablo). Accordingly, the jurisdiction of the current Government of Georgia extends to only 44,000 sq. km.

In 2008, the occupying Russia declared Abkhazia and Samachablo – Georgia's indigenous lands and historical regions – "independent states". In reality, these two Georgian territories have been turned into Russian dominions. Twelve years have passed since the last war with Russia, yet the occupation and

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

annexation of Georgian territories continue to this day. Over the last decade alone, Georgia has lost almost 2,000 sq. km. through the creeping occupation practised by the Russian Federation.

Georgia is, and is expected to remain, an independent country. It has joined almost all major international organisations except NATO and the European Union. The country firmly supports the Western course and, in practice, actively participates in NATO peacekeeping programmes, the work of the NATO–Georgia Commission, and has signed a friendship agreement on cooperation with the European Commission, and so on.

Let us consider the problem of restoring Georgia's territorial integrity from a legal perspective. The Code of International Law and related UN–EU documents set out the obligation to protect the sovereignty of states and the inviolability of their borders. On the surface, everything appears to be in order. Once a state exists, regardless of whether it is a UN member, under the "new world order," all other states are obliged to protect that state's sovereign rights.

The United Nations and the International Court of Justice associated with it have existed for nearly a century, yet it is difficult to identify even a single instance during their existence in which these "highly authoritative international institutions" corrected borders or restored violated territorial integrity in respect of any UN member states.

It is therefore unsurprising that Georgia has been unable to escape the chaos of a world marked by uncertainty over rights. The results (in terms of restoring Georgia's territorial integrity) remain negative. I emphasise that Georgia is currently seeking the return of only those territories it has lost over the past three decades. Accordingly, restoring territorial integrity means

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

restoring the international borders established by the UN in the 1990s (69,000 sq. km).

Years pass, yet the return of seized Georgian territories has not only proved impossible; prospects have grown increasingly bleak. The Russian–Georgian territorial conflict, compounded by the merciless indifference of the West, is slowly taking the shape of a frozen conflict comparable, for example, to the Turkish–Greek dispute over Cyprus: an island "sliced in half" like an apple.

King Heraclius II defended every inch of our ancestral land with his own blood. Yet in March 1921, a new Bolshevik ruler, Sergo Ordzhonikidze, by a special decree, "gifted" (allegedly returned) Georgian historical lands to neighbouring states:

- Lore to Armenia,
- Saingilo (that is, Borchalo and Zakatala) to Azerbaijan,
- The Sochi region to Russia.

Thus, during the 1920s, an additional 20,327 sq. km of Georgian territory was ceded to other countries through the irresponsible hand of Sergo Ordzhonikidze.

After the Second World War, Stalin intended to return to Georgia the lands lost to Türkiye as a result of Ottoman–Turkish expansion. On his instructions, the scientific and political foundations for resolving the issue were even prepared. However, Stalin died in 1953, and the problem remained unresolved. What is the situation today in Tao-Klarjeti, a historical Georgian region that remains under Turkish possession? The Georgian churches and monasteries there are left without the necessary care and attention – Oshki, Bana, Parkhali, Ishkhani, Khandzta, Dolisqana, Shatberdi, Khakhuli, and others. Our precious historical artefacts are being destroyed and ruined daily, while Tbeti and Opiza have

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

been bulldozed by the Turks, who claimed they were laying a road...

At present, no one considers Georgia's territorial integrity other than a small number of ardent Georgian patriots – tireless, yet exhausted at the absence of any tangible results. The creeping Russian occupation is appalling, as is the issue of David Gareji. Russia, mercilessly – like a mythical firebird – swallows Georgian territory piece by piece. What are the ways and prospects for restoring Georgia's territorial integrity?

1. Special agencies should be urgently established in Strasbourg and within the United Nations, tasked exclusively with work on restoring territorial integrity.
2. Georgia should be admitted to NATO immediately, along with all the attendant international defence mechanisms.
3. The West should abandon its policy of double standards and firmly raise its voice against Putin's Russia as an occupying power.
4. Economic and political sanctions against Russia should be tightened – not with long-term objectives, but with the most severe consequences in the coming months, designed to compel Russia to cede the occupied territories.
5. Since the Geneva format and the Karasin–Abashidze meetings are entirely pointless, high-level ministerial meetings (including presidents or prime ministers) should be convened to address the restoration of territorial integrity directly, rather than indirectly as at present.
6. An internationally authoritative commission should be established to discuss the political status of Abkhazia and the so-called South Ossetia (Samachablo) within Georgia, whether as a federation or a confederation.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რევაზ მიშველაძე
პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემა

საკვანძო სიტყვები: საქართველო, აფხაზეთი, სამაჩაბლო, მცოცავი ოკუპაცია, კონფლიქტი, საერთაშორისო სამართალი, მსოფლიოს ახალი წესრიგი, სუვერენული უფლებები

თანამედროვე საქართველოს უპირველესი პრობლემა დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. რა იგულისხმება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში?

XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქაში, საქართველოს ტერიტორია შეადგენდა 307 ათას კმ^2-ს.[1] ისტორიული ძნელბედობის გამო, უამრავი ტერიტორია დავკარგეთ და XX საუკუნემდე მივედით 111 ათასი კმ^2-ით. ჩვენი ბედის ჩარხი ისევ უკუღმა დატრიალდა საბჭოთა ეპოქაში და მხოლოდ 69 ათასი კმ^2 შეგვრჩა. ბედმა ესეც არ გვაკმარა: უკანასკნელ ოცდათხუთმეტ წელიწადში რუსეთთან ორი გამანადგურებელი ომის შედეგად, ჩვენმა ჩრდილოელმა ოკუპანტმა მეზობელმა ჩამოგვაჭრა 25 ათასი კმ^2 (აფხაზეთი და სამაჩაბლო). ასე რომ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მხოლოდ 44 ათას კმ^2-ს აკონტროლებს. საქართველოს ძირძველი ისტორიული მიწები აფხაზეთი და სამაჩაბლო დამპყრობელმა რუსეთმა „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ – სინამდვილეში კი თავის სამფლობელოებად გამოაცხადა 2008 წელს. რუსეთთან ბოლო ომიდან თვრამეტი წელი

BRAMS 2025 May
Volume 6, Issue 13
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გავიდა და ქართული ტერიტორიების ანექსია დღესაც გრძელდება. მცოცავი ოკუპაციით ბოლო ათწლეულში საქართველომ დაკარგა თითქმის 2 ათასი კმ^2.

საქართველო, თითქოსდა, დამოუკდებელი ქვეყანაა. იგი მიუერთდა ნატოსა და ევროკავშირის გარდა ლამის ყველა საერთაშორისო გაერთიანებას. მყარად უჭერს მხარს დასავლურ კურსს და აქტიურად მონაწილეობს ნატოს სამშვიდობო პროგრამებში, ნატო-საქართველოს კომისიის მუშაობაში, ხელი აქვს მოწერილი ევროკავშირთან თანამშრომლობის სამეგობრო ხელშეკრულებაზე და ა.შ.

გადავხედოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემას სამართლებრივი თვალსაზრისით. საერთაშორისო სამართლის კოდექსში და მასთან დაკავშირებულ გაერო-ევროკავშირის დოკუმენტებში დაწვრილებითაა ჩაწერილი მსოფლიოს სახელმწიფოთა სუვერენულობის დაცვისა და საზღვრების ხელშეუხებლობის საკითხი. ერთი შეხედვით, სამართლებრივად ყველაფერი მოწესრიგებულია. არსებობს სახელმწიფო და, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი გაეროს წევრი, მსოფლიოს ახალი წესრიგის მიხედვით, ყველა სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მისი სუვერენული უფლებები.

სწორედ მაშინ, როცა XXI საუკუნეში კეთილ, სამშვიდობო გონს უნდა გაემარჯვა, როცა შეფასებულია მსოფლიო ომების დამანგრეველი შედეგები, როცა ბიბლიოთეკები ვერ იტევენ ტერიტორიათა ხელყოფის ამსახველ ტომეულებს და ახლაც გრძელდება საერთაშორისო სასამართლოებში კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენთა პროცესები, მსოფლიოში კვლავ იარაღის ჟღარუნი გაისმის და რევანშისტები ახალ-ახალი ომებისთვის ემზადებიან –

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ჯერ უკრაინაში, მერე ისრაელში... ვინ იქნება შემდეგ, ვინ იცის: ირანი? ბელარუსი? პოლონეთი?

გასაოცარი ერთი რამ არის: როგორც ვხედავთ, კაცობრიობა ისტორიის გაკვეთილებზე ჭკუას ვერ სწავლობს, მაგრამ, ნუთუ იმდენად წინ ვერ უნდა წავსულიყავით, რომ საერთაშორისო სამართალი სრულდებოდეს ჩვენს ცივილიზებულ ეპოქაში და მასზე მხოლოდ იურისტ მეცნიერებს და მაგისტრებს ან ხარისხისმაძიებელ დოქტორანტებს არ უწევდეთ მსჯელობა. საუკუნეა, რაც გაერო არსებობს და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო სასამართლო, მაგრამ არ მოიძებნება თუნდაც ერთი ფაქტი ამ წლების განმავლობაში, რომ ამ „ფრიად ავტორიტეტულმა საერთაშორისო ინსტიტუტებმა“ რომელიმე საზღვარი გაასწორეს ან გაეროს რომელიმე წევრ სახელმწიფოს ხელყოფილი ტერიტორიული მთლიანობა აღუდგინეს.

სრულიად ბუნებრივია, რომ ამ მსოფლიოს უფლებრივი დაუცველობის ქაოსიდან ვერც საქართველომ გამოაღწია. ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით შედეგი დღემდე ნულის ტოლია.[2] გავხაზავ იმ უმნიშვნელოვანეს დეტალს, რომ საქართველო ამჟამად მხოლოდ იმ ტერიტორიების დასაბრუნებლად იბრძვის, რაც ბოლო სამ ათწლეულში დაკარგა ანუ ტერიტორული მთლიანობის აღსადგენად გაეროს მიერ დადგენილ საერთაშორისო საზღვრებში (69 კმ^2).[3]

გადის წლები, მაგრამ წართმეული ტერიტორიების დაბრუნებას არათუ საშველი დაადგა, პერსპექტივაც ფრიად სავალალოა. რუსეთ-საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტი დასავლეთის გულგრილობით ნელ-ნელა იღებს გაყინული კონფლიქტის სახეს, მაგალითად, ისეთს, როგორიცაა

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თურქეთ-საბერძნეთის კონფლიქტი ვაშლივით შუაზე გაჭრილ კვიპროსის კუნძულზე.

დასავლეთის სახელმწიფოები და ამერიკა მხოლოდ და მხოლოდ დეკლარაციული განცხადებებით უჭერენ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. სინამდვილეში კი მათი ფორმალური მხარდაჭერა იქამდე მიდის, რომ 2019 წელს ოკუპანტ რუსეთს ევროსაბჭოში ჩამორთმეული ხმის უფლება აღუდგინეს.

უმაღლესი დონის შეხვედრებზე პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები საქართველოს ფიცში ჩასაყოლებლად, თითქმის, თვალთმაქცურად, ღარიბი ნათესავივით ახსენებენ და საქართველოსთვის თვალის ასახვევად მსოფლიოს ყველაზე უმართავ პოლიტიკურ მოთამაშეს, რუსეთს ურბილეს სანქციებს უწესებენ. დასავლეთი ცდილობს საქართველოსა და უკრაინის გამო არ გაანაწყენოს გაზითა და ენერგორესურსებით მათი მომმარაგებელი.

ოქროს ხანიდან (XI-XII სს.) რაც საქართველოს დიდება დაიშრიტა, გარეშე მტერთა შემოსევებმა თუ შინაომებმა ისე დაასუსტა ქვეყანა, რომ XVI-XVII საუკუნეებში საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფო აღარ არსებობდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის გაბმული ერეკლე II ხმლით აკოწიწებდა თითქმის დანგრეულ ქვეყანას, მაგრამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ვერას შველოდა.[4] ბოლოს, ილაჯგაწყვეტილმა ერეკლემ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველო რუსეთს შეუერთდა.

მხცოვან მეფეს მალე სანანებლად გაუხდა ეს ნაბიჯი. „ქართველთა ღალატით“ გამძვინვარებულმა აღა-მაჰმად-ხანმა 1795 წლის სექტემბერში მოითარეშა

BRAMS 2025 May
Volume 6, Issue 13
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თბილისი და სასტიკად დაამარცხა ქართული ჯარი. ამ საბედისწერო ბრძოლის შემდეგ ერეკლე II წელში ვეღარ გაიმართა. თელავში თავის პატარა სასახლეში ჩაიკეტა და იმავე ოთახში, სადაც დაიბადა, უფალს მიაბარა რუსთა ღალატით შეწუხებული სული 1798 წელს.

სამი წლის შედეგ, 1801 წელს რუსთხელმწიფემ საქართველოს სამეფო გააუქმა, ხოლო ბაგრატიონთა საგვარეულო მთელ რუსეთში მიმოკარგა; უკან, სამშობლოში დაბრუნება აუკრძალა. ასე დაამთავრა არსებობა საქართველოს სახელმწიფომ, რომელიც რუსეთის საკუთრება გახდა თბლისისა და ქუთაისის გუბერნიების სახელწოდებით. საქართველოზე ლაპარაკიც კი აკრძალა რუსეთმა, რადგანაც 1801 წლიდან მან საბოლოოდ მოშალა საქართველოს ისტორიული საზღვრები.

ამასობაში რუსეთის იმპერია სამხრეთისაკენ გაფართოვდა. 1829 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთმა გაიმარჯვა. ამ ომსა და მის შემდეგ თითქმის ყველა ომში, ქართველები რუსეთის მხარეს იბრძოდნენ. როცა 1829 წლის 14 სექტემბერს დადებული ანდრიანოპოლის ზავით ოსმალეთს დაათმობინეს ახალციხე, ახალქალაქი და ფოთი, ფრიად გაიხარეს. ქარველები ამ გამარჯვებას რუსეთს იმიტომ უმადლოდნენ, რომ „ერთმორწმუნე ძმამ“ დაკარგული ტერიტორიები დაუბრუნა. თუმცა, სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. პასკევიჩმა მესხეთიდან ქართველები გაასახლა და მათ ნაცვლად სომხები ჩამოასახლა. იმ საბედისწერო დროიდან დღემდე საქართველოს ისტორიულ მიწაზე ახალქალაქში მოსახლეობის უმრავლესობას სომხები შეადგენენ.

1877 წელს დაწყებულ კიდევ ერთ ომში რუსეთის წინააღმდეგ ოსმალეთი კვლავ დამარცხდა და 1878 წლის

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სან-სტეფანის ზავით საქართველოს (ფაქტობრივად, რუსეთის იმპერიას) დაუბრუნდა ბათუმი, არტაანი, ართვინი, შავშეთი, ერუშეთი, კოლა, ოლთისი და მთელი ტაო-კლარჯეთი. ამით დამთავრდა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში თურქთა ლამის ოთხასწლოვანი ბატონობის ხანა. მართალია, ამ ომში ქართველებმაც ბევრი სისხლი დაღვარეს, მაგრამ ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს, ვაღიაროთ, რომ ქართული ტერიტორიების თუნდაც ფიქტიური შემომტკიცების მთავარი მიზეზი რუსული ხიშტი გახლდათ.

ისტორიის ჩარხი ისევ რუსული იმპერიის (სულერთია, თეთრი ანუ თვითმპყრობელური იქნებოდა ეს იმპერია თუ წითელი ანუ ბოლშევიკური) სასარგებლოდ ბრუნავდა – დამოუკიდებელ საქართველოს ლენინმა 1920 წლის 7 მაისის სამეგობრო ხელშეკრულება ერთ წელიწადში თავზე დაახია. 1921 წლის თებერვლის დასაწყისში მე-11 არმიით ჩვენს ქვეყანას ოთხი მხრივ შეუტია და 25 თებერვალს ნოე ჟორდანიას ხელისუფლება დაამხო. მენშევიკურმა მთავრობამ გაქცევით უშველა თავს, მაგრამ რა ბედი ელოდა ჩვენს მთავარ გულსაკლავს – საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას წითელი რუსეთის ხელში?

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეულმა პირველმა ელდამ რომ გაიარა, ეროვნულად მოაზრონე ქართველებმა მაშინვე ძებნა დაუწყეს მანამდე მომრავლებულ პლანტატორისქუდებიან ევროპელებს, მაგრამ მხოლოდ მათ ზურგებს ჰკიდეს თვალი. აქაოდა, რუსი მოდისო, ჯერ იტალიელები გაიქცნენ, მერე ფრანგები... მათ ინგლისელებიც მიჰყვნენ. ინგლისის თავდაცვის მინისტრი მაშინ ახალგაზრდა ჩერჩილი იყო, რომელიც საქართველოს რუსეთის ნაწილად განიხილავდა და, საერთოდ, პატარა ერების ბედი

BRAMS 2025 May
Volume 6, Issue 13
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ნაკლებად აღელვებდა. ცოტა ხანს გერმანელები შეგვრჩნენ, მაგრამ მალე ისინიც წავიდნენ.

იმპერიების ჯახით ძლივს, ნაწილობრივ მაინც ტერიტორიებდაბრუნებულმა საქართველოს გეოგრაფიულმა სხეულმა ისევ რღვევა დაიწყო.

ჯერ ოსები აფუთფუთდნენ დრომოსული ყაჭივით. დამოუკიდებლობის წლებში ქართულ პერიოდიკაში გაჩნდა წერილები იმის შესახებ, რომ სამაჩაბლოში საუკეთესო მიწები არამკვიდრმა მოსახლეობამ, ჩრდილოეთიდან ჩამოსულმა სტუმარმა ოსებმა დაიკავესო. ამის გამო, თითქოსდა, ეროვნული მოძრაობისგან „შევიწროვებულმა“ ოსებმა აბარგება და ჩრდილოეთ კავკასიაში, თავიანთ მკვიდრ ტერიტორიაზე გადასვლა დაიწყეს.

თუმცა ოს ხიზნებს სულზე მოუსწრო საქართველოს გასაბჭოების პირველსავე კვირაში სერგო ორჯონიკიძის მიერ თერგის ჯარების მეთაურისთვის გაგზავნილმა დეპეშამ: „მენშევიკების მიერ გასახლებულ ოსთა დაბრუნების აბსოლუტურ თავისუფლებას თავისთავად გადაწყვეტს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება... გადაეცით, გეთაყვა, სამხრეთ ოსეთის ყველა ოსს, რომ თავიანთ კერებში მათ დაბრუნებას ხელს სრულიად არაფერი აღარ უშლის. თქვენი სერგო ორჯონკიძე“.[5] 1922 წლის 20 აპრილს ე.წ. სამხრეთ ოსეთი ავტონომიურ ოლქად გამოაცხადა სერგო ორჯონიკიძე და ამით საქართველოში ხიზნად ჩამოსულ ოსებს ქართული მიწა საჯიჯგნად მიართვა. ოსებმა ავტონომიაში ვიწროდ იგრძნეს თავი და 2008 წელს პუტინის წყალობით დამოუკიდებელი რესპუბლიკის სარტყელიც შემოირტყეს.

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკის ზავით[6] წითელმა რუსეთმა თურქეთს უფეშქაშა უძველესი

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ქართული ქალაქები: ფოცხოვი, ოლთისი, არტაანი და ართვინი. რას დაეძებდა რუსული იმპერია სიმწრით შენარჩუნებულ ქართულ ქალაქებს.

ამ ამბიდან მხოლოდ ასი წელი გავიდა.

გაინტერესებთ, ახლა რა მდგომარეობაა თურქეთისგან მიტაცებულ ამ ძირძველ ქართულ ქალაქებში და, ზოგადად, ტაო-კლარჯეთში? ღვთის ანაბარაა მიტოვებული ქართული ეკლესია-მონასტრები: ოშკი, ბანა, პარხალი, იშხანი, ხანძთა, დოლისყანა, შატბერდი, ხახული... დღითიდღე ინგრევა და ნადგურდება ჩვენი უძვირფასესი ისტორიული განძი, ხოლო ტბეთი და ოპიზა, აქაოდა, გზა გაგვყავსო, თურქებს ბულდოზერებით დაუნგრევიათ.

ართვინში 1986 წელს კინორეჟისორ რეზო ჩხეიძესთან ერთად ვეახელით ართვინის გუბერნატორს და, როგორც ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის წარმომადგენლებმა, ართვინში ქართული წერა-კითხვის შესწავლის მსურველთათვის საკვირაო სკოლის გახსნის ნებართვა ვთხოვეთ.

ვისთვის გინდათ საკვირაო სკოლაო, გვკითხა.

ქარველებისთვის, მივუგეთ ჩვენ.

მერედა, ნუთუ არ იცით, რომ ართვინში ქართველები აღარ ცხოვრობენ. კი ბატონო, გახსენით, მაგრამ ეჭვი მეპარება, აქაურმა თურქებმა ქართული წერა-კითხვის სწავლა მოინდომონო.

ვცადოთ-მეთქი, ხავსს ჩავებღაუჭე, რადგანაც კარგად ვიცოდი, რომ ართვინში მოსახლეობის 80% ქართველი იყო მაშინ და ახლაც, როცა ეს სტრიქონები იწერება, ართვინში მოსახლეობის 75%-მდე ქართველი ცხოვრობს.

რაკი თქვენსას არ იშლით, მომიტანეთ დემირელის[7] წერილი და, „ბაშუსტაო“,[8] იცბიერა თურქმა.

BRAMS 2025 May
Volume 6, Issue 13
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დემირელის ნებართვა როგორ გავახერხოთ-მეთქი, სიბრაზე ყელში მომაწვა.

სახემოძმარებულნი წამოვედით. ერთი კვირის მერე შევარდნაძეს მოვახსენეთ ეს ამბავი. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ასეთ პატარა საქმეზე დემირელი როგორ შევაწუხოო...

ისევ საქართველოს ტერიტორიების განიავებასთან მივიდეთ. ჩვენი მიწის ყოველ მტკაველს ერეკლე რომ საკუთარი სისხლით იცავდა, ახალი მოდის მმართველმა სერგო ორჯონიკიძემ 1921 წლის მარტში სპეციალური დეკრეტით მოძმე მეზობელ სახელმწიფოებს აჩუქა (ვითომ დაუბრუნა) ქართული ისტორიული მიწები:

- სომხეთს – ლორე,
- აზერბაიჯანს – საინგილო (ანუ ბორჩალოსა და ზაქათალის რაიონები),
- რუსეთს – სოჭის ოლქი.

1921 წლის 21 მაისს საქართველოს ძირძველმა მხარემ აფხაზეთმა საკავშირო ცეკას მითითებით და საქართველოს რევკომის თანხმობით თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა. მოსკოვში მალე გონს მოეგნენ და აფხაზეთს დამოუკიდებლობა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით შეუცვალეს, მაგრამ ამ დროიდან დაწყებული, სოხუმში დღითიდღე ღვივდებოდა სეპარატისტული მოძრაობა საქართველოდან გასვლის მოთხოვნით, რასაც მიაღწიეს კიდეც: 2008 წელს პუტინმა აფხაზებს ეს ნატვრა აუსრულა.

ორ თვეში საქართველოს ავტონომიებს მესამე დაემატა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახით და ამით ბოლშევიკებმა საქართველოს ტერიტორიულ სხეულში სამი შენელებული მოქმედების ბომბი ჩადეს. ისინი 1991-1993 წლებში აამოქმედეს ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს. აამოქმედეს და ააფეთქეს არა

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მარტო ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობა, არამედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობაც.

სერგო ორჯონიკიძის მსუბუქი ხელით XX საუკუნის ოციან წლებში გასხვისდა 20 ათას 327 კმ^2 საქართველოს ტერიტორია.

ბოლშევკური ხელისუფლება თურქეთს უსაჩუქროდ როგორ დატოვებდა: 1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დაბრუნებულ ქართულ ძირძველ მიწებსაც გაასხვისებდა, თურქეთს უკვე მირთმეული რომ არ ჰქონდა ეს ტერიტორია 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით, რომლის ინიციატორიც ლენინი ბრძანდებოდა, ხოლო საბჭოთა დელეგაციას ტროცკი ხელმძღვანელობდა. ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმებით, თურქეთს გადაეცა ართვინი, არდაგანი, ყარსი და ხურდად დაემატა აჭარა ბათუმითურთ. „კავკასიის საკითხი“ წითელმა რუსეთმა და გერმანიამ ისე გადაწყვიტეს, რომ ბრესტ-ლიტოვსკში არცერთი ქართველი არ მიუწვევიათ. ასე, კამათლებივით ათამაშებდა წითელი რუსეთი ქართული მიწების ბედს. თუმცა, უმთავრობოდ და უსახელმწიფოდ დარჩენილმა ქართველებმა მალე ომით ისევ გამოგლიჯეს აჭარა თურქეთის მხარეს.[9]

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას რომ ვადა გაუვიდა, ედუარდ შევარდნაძემ კიდევ ერთხელ გაუგორა დემირელს კოჭი: „ფიცით გითხრობ“ რომ საქართველოს თურქეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნიაო. აბა, სად დგანან ოშკი და ხახული, სადაა გრიგოლ ხანძთელის მონასტერი – მთვარეზე?!

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სტალნი აპირებდა საქართველოსთვის დაებრუნებინა თურქეთის მიერ მიტაცებულ მიწები. მისი მითითებით მომზადდა კიდეც საკითხის გადაწყვეტის მეცნიერული

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

და პოლიტიკური საფუძვლები, მაგრამ 1953 წელს საბჭოთა ბელადი გარდაიცვალა და პრობლემა ძველებურად ჰაერში გამოკიდებული დარჩა.

საქართველოს ტერიტორიების დაკარგვა XXI საუკუნეშიც გაგრძელდა. მთავარსარდლის უნიათობის გამო, 2008 წლის აგვისტოს ომში ქართული ჯარის დამარცხების შემდეგ (როცა ცხინვალში ჯერ კიდევ იხოცებოდნენ გმირი ქართველი ჯარისკაცები), ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა სამაჩაბლოს გადარჩენილ შემოგარენს „საქართველოს სამაჩაბლო“ უწოდა, ხოლო სვანი „მონადირეების“ სისხლით დაცულ ხეობას – „სვანეთის აფხაზეთი“. საბაბი ხელზე დაიხვია და ცოტა ხანში რუსმა თავისი შენაერთები დაძრა – საქართველოს ორივე ე.წ. „ადმინისტრაციული ტერიტორია“ წაგვართვა.

ამჟამად საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე თითო-ოროლა გულმხურვალე, მაგრამ ილაჯგაწყვეტილი ქართველი პატრიოტის მეტი არავინ ფიქრობს. პოლიტიკური პარტიები ოდენ ერთი-მეორესთან კინკლაობაზე და ძალაუფლების შენარჩუნებაზე ან წართმეული ძალაუფლების დაბრუნებაზე ქიჩმაჩობენ, სხვაზე არაფერზე. არცერთი პარტიის პროგრამაში წართმეული ტერიტორიების დაბრუნება პირველ ნომერ ამოცანად არაა მიჩნეული.

რაკიღა თვით ქართველი არ იკლავს თავს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისთვის, ამ ინერციით მეზობელმა სახელმწიფოებმა ჩვენი ქვეყანა ლამის „უპატრონო ეკლესიად“ მიიჩნიეს და ისე მოედვნენ ჩვენს განუყოფელ ისტორიულ სხეულს, როგორც მუმლი მოედება ხოლმე მუხას. ერთი შემაძრწუნებელი ფაქტი რუსული მცოცავი ოკუპაციაა, მეორე – დავით გარეჯის პრობლემა.

BRAMS 2025 May
Volume 6, Issue 13
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რუსეთი დაუნდობლად, ზღაპრული ფასკუნჯივით ნაჭერ-ნაჭერ ყლაპავს საქართველოს ტერიტორიას. ჩვენს „მეგობრებს“ ამერიკის ბოლო სამ პრეზიდენტს (ობამა, ტრამპი, ბაიდენი) ისე, სასხვათაშორისოდ მაინც რომ მიეთითებინათ აგრესორ პუტინის საქციელზე, ან ევროკავშირს და ევროპარლამენტს დაეყენებინა საქართველოს საკითხი თავიანთ ოცდაოთხსაათიან, მთქნარების მომგვრელ სხდომებზე, საქმე სხვაგვარად იქნებოდა. 2021 წლის 28 თებერვალს ევროკავშირის თავმჯდომარე შარლ მიშელი ბრძანდებოდა თბილისში. ე.წ. სასაზღვრო ზოლსაც ეწვია, „მცოცავი ოკუპაცია“ საკუთარი თვალით ნახა და აღშფოთებით ჩაილაპარაკა: რა დღეში ყოფილხართ, თქვე საწყლებოო. გამოგვემშვიდობა, გაძლება გვისურვა და წავიდა. რომაული ანდაზისა არ იყოს: „როდემდე, კატილინა, როდემდე?!“ დარწმუნებული ვარ, იგივე ბედი მოელის დავით გარეჯის პრობლემასაც.

ჩვენ აქ, ჩვენს ტაფაზე ვიხრაკებით; ციხეში ვსვამთ იმათ, ვინც შეგნებულად თუ შეუგნებლად საქართველოს უძვირფასესი ძეგლი დავით გარეჯის სავანე და მისი მიმდებარე ტერიტორიები (3500 მ^2) აზერბაიჯანს მიართვა[10] – როგორც ლევან სანიკიძე იტყოდა, „მიუბედნიერა“,[11] მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, მოძმე აზერბაიჯანს ვინ შეჰკადრებს, შეცდომით შენთვის მიწერილი ჩემი ძირძველი მიწა დამიბრუნეო.

როცა დაპირებისამებრ ნატოში საქართველოს მიღების საკითხი მოახლოვდება, ევროპის სახელმწიფოს წარმომადგენლები მომჟავო სახეს იღებენ და კატეგორიულად გვიცხადებენ: ნატოსთვის ჯერ მზად არ ხართო. ასეთი პოზიცია დააფიქსირეს ნატოს სამიტზე გერმანიის კანცლერმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა. არადა, მაშინ რომ საქართველოს ნატოში მიღების

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

საკითხი დადებითად გადაწყვეტილიყო, რუსეთი ვერ გაბედავდა საბოლოოდ წაეგლიჯა საქართველოსთვის 25 ათასი კმ[2].

გაეროსა და ევროკავშირის სამოქმედო პუნქტებიდან ბოლო ათი წლის განმავლობაში საბოლოოდ გააქრეს ისეთი ფრაზები, რითიც სახელმწიფოთა შორის ტერიტორიული დავების საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო. მაგალითად, არავის კუთვნილებად და მოძველებულ არგუმენტებად გამოაცხადეს: „ისტორიული მიწა“, „ავტოქთონური ერის განთავსების ადგილი“, „დემოგრაფიული მემკვიდრეობა“, „ისტორიული ძეგლების განთავსება“, „ერის გენეტიკური კულტურული ერთიანობა“, „ენა“ და ა.შ. ცხადია, ეს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის სიმწვავის შესასუსტებლად არ გაუკეთებიათ. ქართული მიწების იდენტური პრობლემა სხვა ქვეყნებსა და ეთნიკურ უმცირესობებსაც გადაუწყვეტელ თავსატეხად გადაექცათ ასეთი მსოფლიო წესრიგის პირობებში.[12] თუმცა, ჩვენ საკუთარ პრობლემას ჩავუღრმავდეთ.

რა მდგომარეობაა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე? უაღრესად სამწუხარო. რუსეთს ისინი მხოლოდ თავის კოლონიებად მიაჩნია: არც მეტი, არც ნაკლები. არავითარი დამოუკიდებლობა რუსეთს აფხაზებისა და ოსებისთვის არ მიუნიჭებია. მათ წართმეული აქვთ სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის ელემენტარული უფლება. აფხაზეთში ეროვნული მოსახლეობის რაოდენობა 15%-ით შემცირდა, ე.წ. სამხრეთ ოსეთში კი – 13%-ით. სოხუმსა და ცხინვალში თითქმის ცარიელია მაღაზიები. უაღრესად დაბალ დონეზეა სამედიცინო მომსახურება და ამ რეგიონების მაცხოვრებლები იძულებულნი არიან სამკურნალოდ საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებს მიმართონ.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ამ დროსაც კი, ყოველგვარი ჰუმანური პრინციპის დარღვევით, რუსი „მესაზღვრეები“ ხელოვნურ ბარიერებს უქმნიან ავადმყოფებს. ზღვარი არა აქვს ოკუპანტთა და მათ მხარდამჭერთა თავხედობას. დღემდე გამოუძიებელია 2018 წელს საქართველოს ეროვნული გმირის, არჩილ ტატუნაშვილისა[13] და 2016 წელს გიგა ოთხოზორიას[14] მკვლელობის საქმე... ვკარგავთ ქართულ მიწებს, ქართველ ვაჟკაცებს და პასუხს არავინ აგებს, არც არავინ აწუხებს რუსეთს ქართველთა გამო.

დღევანდელ რეალობაში, რა გზები და პერსპექტივები არსებობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად? გთავაზობთ ექვს მოსაზრებას:

1. სტრასბურგის სასამართლოსა და გაეროს სტრუქტურებში დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას სპეციალური უწყებანი, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემებზე იმუშავებენ;
2. საქართველო სასწრაფოდ უნდა მიიღონ ნატოს წევრად მთელი თავისი დაცვითი საერთაშორისო მექანიზმებით;
3. დასავლეთმა თავი უნდა დაანებოს ორმაგი თამაშის პოლიტიკას და მტკიცედ უნდა აღიმაღლოს ხმა პუტინის რუსეთის, როგორც ოკუპანტის წინააღმდეგ;
4. უნდა გამკაცრდეს ეკონომკური და პოლიტიკური სანქციები რუსეთის წინააღმდეგ არა შორს გამიზნული, არამედ, უახლოესი თვეების შედეგებით, რაც რუსეთს აიძულებს, დათმოს დაპყრობლი ქართული ტერიტორიები;
5. რაკიღა ჟენევის ფორმატი და კარასინ-აბაშიძის შეხვედრები აბსოლუტურად უშედეგოა, უნდა შედგეს უმაღლესი დონის (პრეზიდენტების ან პრემიერ-მინისტრების) შეხვედრები, სადაც მიკიბულ-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მოკიბულად კი არა, პირდაპირ იქნება დაყენებული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი;

6. შეიქმნას საერთაშორისო ავტორიტეტული კომისია, რომელიც განიხილავს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ სტატუსს საქართველოს შემადგენლობაში (ფედერაციის, კონფედერაციის ან სხვა მისაღები ფორმით).

კრიტიკას ოდნავადაც ვერ უძლებს ზოგი პოპულარობის მაძიებელი „პოლიტიკოსის“ ცრუ რუდუნება ე.წ. სახალხო დიპლომატიის მეშვეობით წართმეული ტერიტორიების დაბრუნების შესაძლებლობის შესახებ. ეს დროის გაყვანის, საქართველოს უვადოდ დაშოშმინების მზაკვრული გეგმის შემადგენელი ნაწილია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ არავითარი „აფხაზი ერი“ და „აფხაზური კულტურა“ დედამიწაზე არ არსებობს (ეს დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე განსახურდიას აზრია). აფხაზეთი ოდითგან ერქვა საქართველოს ერთ ისტორიულ კუთხეს, ისევე, როგორც სხვა კუთხეებს ერქვა „იმერეთი“, „კახეთი“ და ა.შ. ჩრდილოკავკასიიდან, ადიღედან შემოხიზნულმა ადიღეველებმა თავს „აფხაზები“ უწოდეს. ისინი დღესაც ადიღეურ ენაზე მეტყველებდნენ. მაშ, ვის უნდა ველაპარაკოთ ქართველები „სახალხო დიპლომატიის“ ენაზე – ხიზან ადიღეველებს? იმდენად გულუბრყვილო როგორ უნდა იყოს ადამიანი, რომ სჯეროდეს, თუ ქართველი პარიკმახერი „აფხაზ“ ან „ოს“ პარიკმახერს დაელაპარაკება, ამით რუსეთი წართმეულ ტერიტორიებს დაგვიბრუნებს.

დრო ულმობლად გადის. თუ აფხაზეთი და სამაჩაბლო დროულად არ დავიბრუნეთ, მერე ისევე გვიან იქნება, როგორც ახლა ჩვენთვის ტაო-კლარჯეთის

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დაბრუნებაა დაგვიანებული. დღედაღამ, განუწყვეტლივ, ზარების დარისხებით ყოველ მოსახვევში, ყველა ტრიბუნიდან უნდა ვახსენებდეთ მსოფლიოს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უღმერთოდ დარღვეულია და დედამიწის კეთილი ნებით, წაგვრილი ტერტორიები უნდა დავიბრუნოთ.

რაც შეეხება ამ პრობლემასთან დაკავშირებით პოლიტიკურ ნებას. საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია ცნობილია, ეს ევროპულ-ამერიკული ანუ დასავლური ორიენტაციაა. ოცდათხუთმეტი წელია მტკიცედ ადგას საქართველო ამ გზას და შედეგად რა მიიღო:

1. გაბრაზებული რუსეთის მიერ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობა;
2. სამარცხვინოდ წაგებული ომი რუსეთთან 1992-1993 წლებში;
3. უფრო სამარცხვინოდ წაგებული ომი რუსეთთან 2008 წელს.

ჩვენი მოქალაქეების უმოწყალოდ გაჟლეტას, აუნაზღაურებელ ეკონომიკურ-სამხედრო ზარალს რომ ამჯერად თავი გავანებოთ, ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა საქართველოს ძირძველი, ისტორიული კუთხეების ოკუპაცია რუსეთის მიერ.

შემთხვევით არ მითქვამს, დრო ულმობლად გარბის-მეთქი. ამ წლების განმავლობაში ხომ უნდა გამოჩენილიყო მცირეოდენი შუქი მაინც გვირაბის ბოლოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში? ხომ არა აქვს ცოტა საბუთი ქართველ მოსახლეობაში ბოლო დროს აქა-იქ გამკრთალ სკეფსისს: „ხომ არ შეგვიყოლია დასავლეთმა ცრუ დაპირებებით და იმ ანდაზის ცხვრის ფარის მდგომარეობაში ხომ არ აღმოვჩნდით, რომელსაც ცბიერი

BRAMS 2025 May
Volume 6, Issue 13
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მწყემსი ამაოდ ამშვიდებს: ცოტაც მოითმინე და გაზაფხულზე იონჯა ამოვაო“.

ლიტერატურა ▫ References

1. ჯავახიშვილი ივანე (1991-1995). ქართველი ერის ისტორია. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
2. 2008 წლის მინსკის შეთანხმების მასალები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი, 2009, №71/19.
3. კეკელია ჯანო (2003). საქართველოს გეოგრაფიული რუკის კომენტარები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. ჯავახიშვილი ივანე (1946). საქართველოს საზღვრები. თბილისი: „სახელგამი“ <https://ihe.tsu.ge/docs/javaxishvilisazgvrebi_1665194820.pdf>
5. ჯავახიშვილი ივანე (1991-1995). ქართველი ერის ისტორია. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
6. ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, 1918 წლის 3 მარტი, საქართველოს საისტორიო არქივის მასალები, 1934, №12591.
7. სულეიმან დემირელი (თურქ. Süleyman Demirel, 1924-2015) – თურქი პოლიტიკოსი, ინჟინერი, სახელმწიფო მოღვაწე; შვიდგზის თურქეთის პრემიერ-მინისტრი (1965-1971, 1975-1977, 1977-1978, 1979-1980, 1991-1993); თურქეთის მე-9 პრეზიდენტი (1993-2000). ბავშვობაში მწყემსად დადიოდა. როგორც პოლიტიკოსი, ნიჭიერ ორატორად იყო ცნობილი. მრავალი ფრთიანი გამონათქვამით გაახარა თურქული მედია. განსაკუთრებით ცნობილი გახდა მისი ფრაზა: „გუშინ გუშინ იყო, დღეს დღეს არის“ (Dün dündür, bugün bugündür), რაც იმ ოპონენტთა საპასუხოდ ბრძანა, ვინც მის პრაგმატიზმს ეჭვის ქვეშ აყენებდა. იყო თურქეთის ეკონომიკური მოდერნიზაციისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (ბისეკის) შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი; ბაქო-ჯეიჰანის

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ნავთობსადენის გაყვანისა და „ტრასეკას“ პროექტის განხორციელების აქტიური მხარდამჭერი. დემირელი პირველი უცხოელი პრემიერ-მინისტრი იყო, რომელიც ოფიციალური ვიზიტით ეწვია საქართველოს 1992 წლის 30 ივლისს. 1997 წელს აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. 1999 წელს დაჯილდოვდა ოქროს საწმისის ორდენით.

8. başüsta (თურქ.) – ბატონი ბრძანდებით; თქვენ ხართ ჩემი ბატონი.
9. Nadare, Maia (2011). *The Media and Political Image*. Tbilisi: Publishing House Universal.
10. მოლაშვილის და ილიჩოვას საქმეზე საბრალდებო დასკვნა დავით გარეჯის ტერიტორიის თაობაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი, 2020, №15327.
11. სანიკიძე ლევან (1998). ვაი რუსისაგან. თბილისი: საქართველოს დამოუკიდებელი უნვერსიტეტის გამომცემლობა.
12. De Graff, Dachi (2020 November). Diogenes Club of Silence. *BRAMS*, 1(3), 57-87; pp. 63-65.
13. არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობიდან ერთი წელი გავიდა (22 თებერვალი, 2019). რადიო „თავისუფლება“ <https://www.radiotavisupleba.ge/a/29784287.html>
14. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმეზე რუსეთს სიცოცხლის უფლების დართვევა დაუდგინა და 130 ათასი ევროს გადახდა დააკისრა (19 დეკემბერი, 2023), ამბები.ge <https://www.ambebi.ge/article/303469-adamianis-uplebata-evropulma-sasamartlom-giga-otxo/>
15.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)